№ 80

კვირა, 27 აპრილი 1897 წ.

1877—1897

# ივერია

№ 80

კვირა, 27 აპრილი 1897 წ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲓᲘᲠᲡ:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ —ერთი შაური.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227

კვირას, 27 აპრილს, მეშვიდე დღეს გარდაცვალებისა
**ᲙᲜᲔᲘᲜᲐ ᲜᲘᲜᲐ ᲒᲠᲘᲒᲝᲚᲘᲡ ᲐᲡᲣᲚᲘᲡ ᲓᲘᲐᲡᲐᲛᲘᲫᲘᲡᲐ,**
გარდიხდიან წირვას და შემდეგ პანაშვიდს სომხის წმ. სტეფანეს დედათა მონასტერში, დილის 10 საათზედ.
რასაც მეუღლე მისი შვილებითურთ, ძმა და დები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა.

(2—104—2)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ზ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული (სიფილისი) და შინაგანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

**ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო** 11—12 საათ. სნეულება დედ:ნ დათა სქესისა და ბავშვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და $1^1/_2$—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

**ი. ф. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულ მკერდისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

**ა. ჰ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. მ. პუგინოვი.** 5—6 საათ· ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

**ზ. ა. ნავასარდიანი.** $6^1/_2$—$7^1/_2$ საათამდე.

სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისდა ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყობთათვის.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.** (წ)

ტფილისი, 26 აპრილი.

ჩვენებიანთ მკურნალები ჩვენებიანთ ინჟენერებს შორის ვერ წაუვლენ ცოდნითა*). რაც ჩვენებიანთი ინჟენერები არიან ინჟენერობაში, იმისთანავე არიან ჩვენებური მკურნალნი მკურნალობაში. აქაც მარტო დიპლომია ნიშანი იმათის ცოდნისა და არა თვით ცოდნა. მარტო უილაჯობით თუ მიეზიდებიან ჩვენში დიპლომიან მკურნალთან, რადგანაც სხვა გზა არ არის და კაცი გაჭირების დროს ხავს:საც ეჭიდება და ამასთან როგორღაც ეთაკილება კიდეც, სინიდისი უმძიმდება, რომ მახლობელი ხელიდამ წაუვიდეს საიქიოს მკურნალის მოუშველებლად, თორემ ვისა სწამს ჩვენში ჩვენებურ დიპლომიან მკურნალთა მკურნალობა, ანუ, უკეთ ვთქვათ, მათი ჭეშმარიტი და ზედ-მიწევნილი ცოდნა? ამ მხრივ თავი არავის გამოუჩენია, ნდობა არავის მოუპოვებია, სახელი არავის მოუხვეჭია. ცოდნა და მცოდნე კაცი რომ იყოს, არ დაიმალებოდა, გამოჩნდებოდა და თუ ამ მხრით სახელი აქვს ჩვენში ვისმე, ისევ ან რუსს, ან სხვა თესლის მკურნალს.

ჭეშმარიტი ცოდნა მეტად სხივოსანია, მეტად ძლიერი შინაგანის ცხოველ მყოფელობითა, რომ ასე თუ ისე არ გამოხეთქოს, არ გამომზევდეს და შემჩნეულ არ იქმნეს გონება-ახილებულ კაცის მიერ მაინცა, თუ სხვისათვის ძნელია ამისი დანახვა. აბა ერთი აქაური მკურნალი გვიჩვენეთ—ქართველი ან სომეხი—რომ კაცს ალალ-მართლად თქმა შეეძლოს: აი ცოდნის კაცი, აი მსწავლული მკურნალი, აი მეცნიერებაში დანახული კაცი. ქართველებს რომ ამისთანა მკურნალი არა ჰყვადეთ, ცოტად თუ ბევრად მიეტევებათ, რადგანაც ცოტა მკურნალები ჰყავთ ტ ცოტას იმოდენა როგორ მოვთხოვოთ, რაც ბევრსა. ხოლო ბევრში-კი რომ ერთი მაინც არ იყოს ამისთანა მკურნალი, ეს ვერაფერი თავ-მოსაწონებელი ნიშანია, თუ „კულტუროსნები“ არ გვიწყენენ. მართალია, აქ არც ერთს შემთხვევაში არც ერთისათვის არაფერი ნუგეშია, ხოლო რაკი პირისპირ წაყენებაზე მიდგა საქმე, ბევრი უფრო უნდა ჰთაკილობდეს ამისთანა უკაცურობას, ვიდრე ცოტა. ამისდა მიუხედავად ჩვენებურ „კულტუროსნებსავით“ რომ ჩვეულებად გვქონდეს ბუზი აქლემად ვაქციოთ, იქნება ჩვენში, ქართველებში ერთი იმისთანა ცოდნის პატრონი და მკვლევარი მაინც დაგვესახელებინა, რომელსაც სამკურნალო მეცნიერებაში საპატიო სახელი მოუპოვებია არამც-თუ რუსეთში, ევროპაშიაც, საცა იქაურთა მეცნიერთა ზოგიერთ დასკვნისათვის საბუთად მოჰყავთ იმ ქართვლის ძიება და კვლევა. მაგრამ ვიცით, რომ ერთი და ორი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს, როგორც 50 ინჟენერი, თუნდ ამდენივე მკურნალი და ამდენივე ადვოკატი, ნამეტნავად ჩვენებურ „კულტუროსნებისა“, მეწამულ ზღვას მოსე წინასწარ მეტყველისავით ვერ გააპობს, რომ ერი ხუდაბაშოვებისაგან აღთქმულ ქვეყანაში მიიყვანოს და იქ გააბატონოს.

შესაძლოა ჩვენში ერთი მკურნალი მეორესა სჯობდეს და ერთობ ათითით საჩვენებელი-კი ჯერ არავის უნახავს. ცოდნას ვინა სჩივის? ცნობის მოყვარეობაც-კი არავის გამოუჩენია. ცოდნას რომ ცნობის-მოყვარეობაც არ აღეძრას კაცში,—გინდ მაღალ-სასწავლებლის დიპლომი ჰქონდეს, გინდ დაბალისა,—ის ცოდნა განა ცოდნაა?ამიერ-კავკასიაში მცოდნე მკურნალისათვის ცოტა საქმეა საკვლევი და საძიებელი, თუ გული მართალის ცოდნით ჰგულობს? ამ მხრით ხომ თითქმის ხელ უხლებია ეს ქვეყანა. მთელი ეს მხარე მოდებულია სამკურნალო წყლებითა, მცენარეობითა და აბა ერთი ვინმე გვიჩვენეთ, რომ ცნობის მოყვარეობით შესტოკებოდეს გული და ამ მხრით ეძიებიოთ და გამოერკვიათ რამ, თავიანთ გარეშემოში დაენახათ ის, რაც მართლადა მცოდნე მკურნალისათვის დასანახია. ამოდენა სხვა-და-სხვა ჰავის, სხვა-და-სხვა სითბო-სიცივის, მიწა-წყლის ადგილებია სხვა-და-სხვა სნეულებაში მარგებელი, ან მავნებელი და მოუჩხრეკია ვისმე, უძიებია ვისმე, ან აუწონ-დაუწონია მეცნიერების სასწორზე? ან იციან კი სად რა მონახონ, სად რა იძიონ, ან როგორ იძიონ?

დავანებოთ ყოველს ამას თავი, იმიტომ-რომ ყოველს ამას მომქმედი ცოდნა უნდა და არა მკვდარი და მომქმედს ცოდნასთან საჭიროა ჭკუის გამჭრიახობაც, ცოდნის მოხმარების ხერხიც. „კულტუროსანთა“ მკურნალებს რომ ყოველი ეს მოვთხოვოთ, ბედოვლათობაში ჩამოგვართმევენ.

ქართველს ერს აიღებთ, თუ სომხისას ათასის წლების ისტორია აქვთ. ერთსაც და მეორესაც უცხოვრია, უფიქრია, თავისის ჯან-მრთელობისათვის უზრუნვია ამოდენა ხნის მანძილზე, კარგი, თუ ავი მკურნალობა ამათაც სცოდნიათ და ჰქონიათ. ნუ თუ ესეც მისაწვდენი არ არის აქაურ მკურნალთა ცოდნისათვის? ნუ თუ ყოველ ამისი გამოჩხრეკა, ძიება, აღმოჩენა და გამორკვევა საკადრისი არ არის დიპლომიან ცოდნის პატრონებისათვის! განკითხვას ყოველ ამაებისას, კრიტიკის თვალით გაჩხრეკას არ ვიტყვით, იმიტომ-რომ ამისთანაებში დიპლომით შემოწმებულ ცოდნის გარდა სხვა საკუთარი უნარიც უნდა ჰქონდეს კაცსა და სად ეს უნარი და სად ის მკურნალთა დასტა, რომლის სიმრავლით თვალებს გვიხვევენ აქაურნი მოძღვარნი უცნაურ „კულტურისა“. ჩვენ მარტო ხორციელ თვალით დასანახავს საგნებსა ვჩივით და თითქმის ხელით მოსაგროვებელს ამბებსა და აქაც-კი ყოვლად უქმნი არიან, ყოვლად უღონონი, ყოვლად გამოუსადეგნი, ყოვლად უცოდინარნი.

გვეტყვიან, რა ბევრს ჰკუას ვის-

*) იხილეთ „ივერია“ № 75.

# ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

—

**ᲜᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘ**

—

ხე ნაყოფით, კაცი საქმით
იცნობაო, უთქვამს ბრძენსა;
ზოგნი სხვაფრივ აფასებენ
ქვე-მძრომსა და ალმა-მფრენსა:
კუს არქმევენ კაცუნები
„უპატენტო“ შავარდენსა,
მღოლავ კუს-კი „პატენტიანს“
ეძახიან, ცაში მფრენსა!..

დ. მაჩხანელი

**ᲩᲔᲛᲘ ᲣᲑᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘ**

ჭრელ-ჭრელი ამბები

26 აპრილი.

№ 1.

საარჩევანო დრო მოახლოვდა და ტფილისელებსაც ფაცი-ფუცი და ალიაქოთი შეუდგათ. მეტადრე „ჩვენებიანები“ დიდს მზადებასა და ცდაში არიან. იმათ მოძრაობასა და ყოფას რომ დააცქერდეთ, ასე გეგონებათ ციებ-ცხელება შეჰყრიათო. აღდგომის მეორე დღეს, სულთაობას, როცა სხვებს ქეიფისა და ლხინის მეტი არა ახსოვდათ-რა, ხოჯივანქის სასაფლაოზედ „ჩვენებიანებმა“ დიდი კრება მოახდინეს, თუ „კულტურულად“ ვიტყვით, „მონსტრ-მიტინგი“ გამართეს. კრებაზედ უმეტეს ნაწილად ეგრედ წოდებულნი „მშაკაკანნი“ *) დაესწრნენ. რასაკვირველია, თათბირი და საუბარი იმის გამო ჰქონდათ, რომ მომავალი საბჭოც აწინდებურად ჩვენ ხელთ უნდა იყოსო, რადგანაც... ამას ხომ თქვენც მიხვდებით. ამბობენ, რომ ამ მოკლე ხანში ბაზაზხანაღა დახურული ბაზარი უეჭველად ფრანგების სასაფლაოზედ შეიკრიბებაო. ღმერთმანი, ვერ გამიგია და ვერ მივხვედრილვარ,—რას მოასწავებს და რას ნიშნავს ეს თავის მოყრა სასაფლაოზედ... „დვორცოვი ნომრების“ დასმა თავისი ბინა და სადგური „სევერნი ნომრებში“ გაიჩინა. ესეც უნდა მოგახსენოთ, ამ დასმა მეთაურად, „კულტურულად“ თუ გნებავთ—„ლიდერად“—ისევ ბ-ნი მატინიანცი ამოირჩია და ეს არის ეხლა ნამდვილად შევიტყე, რომ მოსკოვიდგან მოვიდა ეს გამოცდილი „ლიდერი“. ხოლო „ზომიერნი“, რომელნიც ამ ბოლო დროს ძმობისა და ერთობის ბაიათებს მღერიან, „კავკასიის“ სასტუმროში იკრიბებიან, ბ-ნ ველიჩკოს მახლობლად და მეზობლად. ეს კარგი ნიშანია!.. თუმცა დიდად საეჭვოა, მაგრამ იქნება ღმერთმა ინებოს და რაიმე ზავი და კავშირი დაარსდეს. სხვა-და-სხვა რედაქციაში ხომ ცალკე კრებაა ხოლმე. „ჩვენებიანთ“ ბაირახტარი ზოილი ყველგან თურმე დაიარება, თუმცა ჯერ მაინც ყოყმანსა და ტორტმანშია და არ იცის,—სად დაიბუდოს და ვის მიემხროს. ჩემის ფიქრით, უფრო „დვორცოვი ნომრების“ დასს მიეკედლება. ჯერ ერთი, ზოილიც „კულტურული“ კაცია და, „ჩვენებიანთ“ კულტურას გარდა, ყველაფერი სისულელედ მიაჩნია. მეორედ კიდევ, ეს ახალის „კულტურის“ გმირი არსებობისათვის ბრძოლის მოძღვრების მღაღადებელია და სიმართლე ნივთიერ ძალად მიაჩნია, ხოლო ასეთის ძალითა და შეძლებით რომელი დასი შეედრება „დვორცოვი ნომრების“ დასსა!..

* *
*

„ჩვენებიანთ“ მწერლობაც დიდს მზადებასა და ცდაშია. მაშ ტყუილად ხომ არ ამბობენ,—მწერლობა ცხოვრების ხელმძღვანელი და გზის მაჩვენებელიაო! სომხურ-რუსული გაზეთობა, მართლაც-და, ჯერ-ჯერობით მაინც, საუცხოვოდ ასრულებს ასეთს თავისს მოვალეობას. დაიწყო თუ არა საარჩევანო კამათი, ამ მწერლობამ მყისვე მორთო ძმობისა და ერთობის გალობა და საყურადღებოა უფრო ის, რომ ესეთი ტკბილი „ნანინა“ მარტო ქართველობას დამღერა... გეცოდინებათ, რომ „ნანინა“ დასაძინებელი სიმღერაა და თქვენც კარგად გაიგებთ,—თუ რად და რისთვის დასჭირდათ ამ გალობიე სიმღერა. დიაღ, დავაძინოთ, თვალი დავუხუჭოთ და ჩვენი საქმე უფრო მარჯვედ წარიმართებაო... მაგრამ „ნანინასაც“ არ დასჯერდნენ და სხვა ხრიკებსა და ოინებს მიჰყვეს ხელი. ასე გასინჯეთ, თაკილობაც-კი გვერდზედ მიაგდეს. ამას წინად „დარბაისელ გაზეთის“ უდროოდ დამწიფებული ლიბერალი, რომლის კალმოსნობა ცალიერს სალიტერატურო ორთა შუა ჯდომას შეადგენს, ცილის წამებასაც-კი არ მოერიდა და პირდაპირ გამოაცხადა, რომ აწინდელის დავი-დარაბისა და მეტოქობის ატეხა „ტყუილ-ინტელიგენციის“ ბრალიაო. საჭირო იყო ინტელიგენციისთვის სახელი და ნდობა გაეტეხათ და ცილის წამებაც ამიტომ მოუნდათ, თორემ ვინ არ იცის, რომ ქართველი ინტელიგენცია ყოველთვის ძმობისა და ერთო-

*) გაზ. „მშაკი“-ს სალიბერალო მოძღვრების მიმდევარნი. ეს დასი ორად განიყოფება. ცალკე დასად ითვლებიან „არძაგანკაკანნი“, არიან კიდევ ეგრედ წოდებულნი „ნორდარაკანნი“. ისინი სხვაფრივ კაკანებენ.

წავლიდითო, რომ მაგეების გზაზე მოეცდარვიყავითო. იქნება ესწავლათ კიდეც, აქ საკვირველი არა არის-რა. თუნდ არ ესწავლათ კიდეც. განა ამით რაო? განა ყელში ძვალსავით გაეჩხირებოდათ, რომ თავისის, თუ სხვისა ერის კარგად, თუ ავად ნაცადი შეეტყოთ, გაეცნოთ და აენუსხათ! საქმიანი მკურნალობა, ესე იგი, სნეულობის წამლობა უფრო ცდაზე არის აგებული და ნაცადში ჰპოულობს საბუთს ზედ-მიწევნისას და უებარობის მეტ-ნაკლებობისას. ერთი იმისთანა ახლად ამოჩენილი წამალი არ ვიცით, რომ აღმომჩენელს საჭიროდ არ დაენახოს ჩამოთვლა ნაცადის მაგალითებისა უებარობის საბუთად. გამოცდილება ისეთი სკოლაა, საცა ყოველი ცალკე გაკვეთილი ძვირად უჯდება ადამიანს; მაგრამ მაინც ერთად-ერთი სკოლაა, საცა უჭკუონიც-კი ჭკუასა სწავლობენ, ამბობს ერთგან ფრანკლინი. თუ ესეა, ნუ თუ ათასის წლების მანძილზე ნაცადი მთელის ერისა არასფერს სახარბიელოს არ წარმოადგენს ჭეშმარიტ მცოდნესათვის ან საარაოდ, ან საჰოოდ!

თუ ვისმეს ყური უთხოებია ცოდნის სიყვარულითა ამიერ და იმიერ კავკასიისთვის, ერთობ ავი და კარგი მკურნალობის თვალით უსინჯავს და მოუჩხრეკია, ისიც მარტო ან რუსი ყოფილა, ან უცხოელი და იმათი მადლობელნი უნდა ვიყვნეთ.

გვეტყვიან, ჩვენ მეცნიერების მკვლევარნი-კი არა ვართ, ჩვენი საქმე სნეულების რჩენააო, საქმიანი მეცნიერება სხვა არის და თეორიული სხვაო. შარკოები და თუნდ ბოტკინები, ზახარინები და ბევრნი სხვანი უფრო ბევრს სნეულებას უვლიდნენ და არჩედნენ, მაგრამ ცოდნისათვის და მეცნიერებისათვის სამსახურს ეწეოდნენ და არა ერთი და ორი ღვაწლია მათდა სასახელო სახსოვრად. „სწავლა არის სიცოცხლე სწავლულისა, სათნოება—სიცოცხლე ბრძნისა“, ვიღაცამა სთქვა და მართალიც არის. თქვენ ჭეშმარიტი მსწავლულობა სთქვით, თქვენ ნიჭი სთქვით, იგი მადლი სთქვით, იგი ცოდნა სთქვით, რომელნიც კაცს ღვთიურ ცეცხლს უკიდებენ ბუნების და ადამიანის საიდუმლოების ძიებისას და იგი ცეცხლი თვით არ მოასვენებს ადამიანს და მარტო რეცეპტების წერაზე არ შეაჩერებს. თუ მკურნალნი მრავალნი ჰყავთ, როგორც ქადულობენ, და მრავალში ერთი მაინც ამისთანა უნარის კაცი არ აღმოჩნდა,—ეს საგლოვ სამწუხარო და არა თავ-მოსაწონებელი.

რაკი ამით დაიწყებენ თავის მართლებას, რომ ჩვენი საქმე მკვიდრთა ჯან-მრთელობის მოვლაა და სნეულთა რჩენა, დავუჯეროთ და ვაპატიოთ, რომ იმ სფერაში, რომელიც ჩვენ აღვნიშნეთ, ჩვენებიანთ „კულტუროსანთა“ მკურნალნი სრულად ურგებნი, უქმნი და უღონონი გამოჩნდნენ. გავუსინჯოთ ეხლა საქმენი შესახებ თუნდ მკვიდრთა ჯან-მრთელობის მოვლისა და პატრონობისა. ეს უკეთესი საბუთი იქნება იმისი თუ,—„სწავლა რამოდენად არის სიცოცხლე იმათის მსწავლულისა და სათნოება—იმათის ბრძნისა“. ტყუილად-კი არ არის ნათქვამი, საქმემან შენმან გამოგაჩინოს შენო. შორს რომ არ წავიდეთ, ცოდნას და არ ცოდნას ჩვენებიანთ „კულტუროსნების“ მკურნალებისას აღარ გამოვეკიდნეთ, საკმაოა დავასახელოთ მარტო ბ-ნ შამოევის „სელდები“ და ბ-ნ არუთინოვის „ტრიხინიანი“ ღორები. აქ დავინახავთ ჯანმრთელობა, მთელის ტფილისის მკვიდრთა, ესე იგი, ას ორმოც-ათას ადამიანის სულის სიკვდილ-სიცოცხლე რა დიპლომიან კაცების ხელშია. ამ საზარელის ამბის ყოვლად უტყუარი საბუთები ხელთ გვიპყრია და რადგანაც გრძლად საუბარი მოგვინდება, შემდეგისათვის გადავდოთ. ეხლა-კი ამას ვიტყვით, რომ ეს ჩვენი აღთქმა ამაების გამომჟღავნებისა არა ერთსა და ორს აცვლევინებს ფერს და მეორეს მხრით—არა ერთსა და ორს დააკივლებს: ღმერთო, ეს რა დღეში ვყოფილვართ, ეს ვის ხელში ჩავცვივნილვართო!...

---

### მთავრობის განკარგულებანი

—

დანიშნულ იქმნა: ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა გამგეობის სასამართლო საქმეთა უმცროსი რწმუნებული, კოლლეჟსკი სოვეტნიკი ჟღენტი ერევნის გუბერნიისა და ყარსის ოლქის სახელმწიფო ქონებათა გამგეობის უფროს რწმუნებულად.

განჯის გუბერნიის სამმართველოს კანცელარიის მოხელე, კოლლეჟსკი რეგისტრატორი ვასილ მამულაიშვილი—ქ. განჯის პირველ ნაწილის პოლიციის ბოქაულის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად.

---

## ახალი ამბავი

—

*** პეტერბურგის გაზეთებში უკვე გამოცხადებულია ის მამულები, რომლებიც სახელმწიფო სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკშია დაგირავებული და სავადო-შესატანის წარუდგენლობისა გამო უნდა გაისყიდოს. ამ მამულთა შორის 39 მამული ტფილისის გუბერნიისაა გამოცხადებული და 3 მამული ქუთაისის გუბერნიისა, რომლებიც გაიყიდება ხსენებულ ბანკის ამიერ კავკასიის განყოფილებაში 25 ივნისს.

*** გავახსენებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს, დილის 10 საათზედ, სათავად აზნაურო ბანკის დარბაზში წლიური საზოგადო კრებაა დანიშნული ქართულ დრამატიულ საზოგადოების წევრთა.

*** დღეს ჩვენს გაზეთში ვბეჭდავთ მეორე ნუსხას სახმოსნო კანდიდატებისას. ეს ნუსხა, როგორც გუშინაცა გვქონდა ნათქვამი, ესრედ წოდებულ „სასახლის ნომრების“ დასის მიერ არის შედგენილი. ამ გვარად, სომეხთა ორმა დასმა—ახალგაზდა სომხებისამა და აწინდელ ქალაქის გამგეობის უმრავლესობისამ უკვე გამოსთქვეს თავიანთი აზრი, ვინც უნდათ ხმოსნებად. ორივე ნუსხაში, როგორც ვნახეთ, ქართველი თვრამეტ-თვრამეტია დასახელებული, ხოლო სომეხი პირველში 43, მეორეში—46. დარჩა მარტო ქართველებისა და რუსების მიერ შედგენილი ნუსხა, რომელსაც თავისს დროზედ დავბეჭდავთ.

*** მთავრობამ გამოუცხადა სომეხთა სასულიერო კონსისტორიას, რომ სომეხთა ის სკოლები, რომელიც საეკკლესიო ხარჯით ინახება, უსათუოდ იმავე ეკკლესიის ეზოში უნდა იმყოფებოდეს, ანუ იმის ახლო სახლში, რომელ ეკკლესიის ხარჯითაც სკოლა ინახება, და არა სხვა ეკკლესიის გალავანში. აი ამისა გამო სურფ-სარქისის სკოლა, რომელიც ქაშოთის ეკკლესიის ხარჯით ინახებოდა, უკვე დაუკეტნიათ.

*** ტფილისის მოქალაქეთა გამგეობამ ძლივს გაათავა მოქალაქეთა დეპუტატების არჩევანი. საკვირველია, რომ კანონის ძალით ეს დეპუტატები ერთის წლის ვადით ირჩევიან, მხოლოდ მოქალაქეთა უფროსი აგერ სამი წელიწადია აგროვებს საზოგადოებას და ამ სამის წლის განმავლობაში ძლივს ეხლა გაათავა არჩევანი. ეხლაც იმათაც, რომელთაც ნება არა ჰქონდათ თურმე არჩევანში მონაწილეობის მიღებისა, ნებას აძლევდნენ. 50,000 მოქალაქედგან სულ 600—700 კაცი იყო მიწვეული. ეხლა მრავალ მოქალაქეთა საჩივარი შეაქვთ, რომ ეს არჩევანი უკანონოაო და სთხოვენ ბ-ნ გუბერნატორს, დეპუტატთა არჩევანი ხელ-ახლად იყოსო.

*** რაჭველს ვლადიმირ წერეთელს 25 აპრილს გაუკეთებია ორი ყუთი და შიგ ჩაულაგებია ჯერ ქვა და აგური, მერე ფიცრები, ზემოდგან ლასტიკი და ქიშმირის ნაჭრები დაულაგებია, რომ კაცს ჰგონებოდა ფარჩეულობაა შიგ ჩალაგებულიო. თითო ყუთი ექვს-ექვს ფუთს იწონდა. ამ საქონლის გასაღება უკისრნია ტფილისის მოქალაქეს ივანე ხეჩატუროვსა და ესტატე ბროძელს. უპოვნიათ კიდევაც მყიდველები—ახალციხელი ურიები მარეხა გარელაშვილი და ისრაელ აბიდხანოვი, წაწაუყვანიათ თავიანთას და უთქვამთ, რომ გაკონტრებული სომხისაა ეს ფარჩეულობა და 200 მ. წაიღეთო. იმათაც დაუჯერებიათ, მიუციათ 140 მ. და უთქვამთ, რომ დანარჩენს ჩვენს სადგომში რომ მივიტანთ, იქ მოგცემთო. სახლში უნახავთ ყუთები, ელდა სცემიათ და მაშინვე პოლიციაში გამოუცხადებიათ, რომ ასე მოგვატყუეს ამათა და ამათაო. ხეჩატუროვი და ბროძელი მაშინვე შეიპყრეს, ვლადიმირ წერეთელს-კი პოლიცია ჯერ ისევ დაეძებს.

*** 6 მაისიდგან ტფილისსა და გორს შუა საგანგებო საზაფხულო მატარებლები ივლიან, ე. ი. ტფილისიდგან გორს, სამის მატარებლის მაგივრად, ოთხი მატარებელი წავა ყოველ დღე და ოთხივე მატარებელი უკან დაბრუნდება, ტფილისიდგან ბათუმს წავა ერთი მატარებელი დილის 9 საათსა და 10 წ. მეორე საღამოს 8 საათზედ, ბორჯომს—ნაშუადღევის 3 საათსა და გორს დილის ათ საათზედ, ბათუმიდგან ტფილისს მოვა მატარებლები საღამოს 8 საათსა და 40 წ. და დილის 9 საათსა და 5 წ; ბორჯომიდგან დაბრუნდება დილის 7 საათზე და 53 წ., მხოლოდ გორიდგან საღამოს 10 საათზე და 25 წ.

*** პირველ მაისიდგან სათავად-აზნაურო თეატრში წარმოდგენების გამართვას დაიწყებს რუსული საოპერეტო დასი, რომელშიაც, სხვათა შორის, მონაწილეობას იღებენ, ქ-ნნი კრონებერგი, შერი, ჩისნოვსკაია და ბ-ნი კლემენტიევი. უფროსი რეჟისორი და დირიჟორი ამ დასისა ბ-ნი ვივიენია, ხოლო დირექცია კ. ს. მესხისა.

*** კავკასიის საფილოქსერო კომიტეტმა 24 აპრილს კრებაზედ დაადგინა: 1) მიენდოს ექსპერტს ბ-ნს სპეშნევს გამოკვლევა კახეთის ვენახების სოკოთი ავადმყოფობისა და აღმოჩენა „ბლეკროტის“ იმ სახისა, რომელიც ექნება ამ სენს ვაზისას გაზაფხულობით, აგრეთვე აღრიცხვა იმ ადგილებისა, სადაც მოდებულია ეს ავადმყოფობა; და 2) ფილოქსერის ჩხრეკა-ძიება ვენახებში შეჩერებულ იქმნას ერთის კვირით ვაზის ყვავილობის დროს და ამდენისავე ხნით ვაზის სრულ სიმწიფეში შესვლის დროს.

---

ბის მღაღადებელი ყოფილა?!. აქ თუ საყვედური ეთქმის ვისმე, ისევ „ჩვენებიანთ“ ინტელიგენციას, რადგანაც, წარსულ არჩევანების დროს, სწორედ ამ ინტელიგენციამ აღმართა „ასკასერობის“ დროშა და ქალაქის საბჭო თავისს საეროვნო საკუთრებად აღიარა. ეს ინტელიგენცია ახლაც სწორედ ასე იქცევა. აბა წაიკითხეთ გუშინდელ „ივერიაში“ სახმოსნოსია ახალგაზდა სომეხთა დასისა... ამ სიაში ქართველობას სულ მცირე წილი აქვს ნაკუთნები და, ამას გარდა, სრულიად გამორიცხულნი არიან ზოგნი საუკეთესო წარმომადგენელნი ჩვენის საზოგადოებისა: თუ ახალგაზდობა, რომელსაც უფრო მეტი კეთილშობილება და პატიოსნება მოეთხოვება, სიყალბეს მისდევს საზოგადო და საერთო საქმეში, მაშ დანარჩენს ტფილისელს სომხობას რაღა მოეთხოვება. და როცა ასეთს სიყალბესა და შენ-ჩემიაობას სხვანი ეურჩებიან, „ჩვენებიანთ“ მწერლობა ფარისევლურად სწუხს და თანაც იბეზღება—საეროვნო შურსა და მტრობას სთესვენ, ძმობას და ერთობას ძირს უთხრიანო...

მაგრამ სიტყვას „საეროვნო“ მარტო გაჭირვების დროს ჰხმარობენ. მეორე სომხურ-რუსული გაზეთი, რომლის სახელის ხსენება, არ ვიცით რისთვის, მიაჩნიათ სათაკილოდ, ამ ბოლო დროს სულ იმას გაიძახის, რომ ქართველთა და სომეხთა შორის არავითარიმე ბრძოლა არ არსებობს, მარტო სომეხი ბურჟუა და ქართველი ფეოდალი ეცილებიან და ექიშპებიან ერთი-ერთმანეთსაო. მაშასადამე ბრძოლა წოდებრივიაო... ეს თუთიყუშივით გაზეპირებული ნასესხი ლიბერალური მოძღვრებაც და საძინებელი „ნანინაა“, მხოლოდ ხაშხაშ მოყრილი. რასაკვირველია, ადვილად მიხვდებით, თუ რად დასჭირდათ ამ მოძღვრების ღაღადისი. კაპიტალიზმმა შემუსრა ქართველი თავად-აზნაურობა, რომელიც, დღეს თუ ხვალ, სრულიად დედამიწის ზურგიდგან აღიგვებაო, ეს ისტორიული კანონია და სომხური ერი აქ რა შუაშიაო, კიდეც უნდა გიხაროდეთ, რომ დემოკრატიას გზა ეხსნებაო... გვესმის, რა ანკესიც გადმოგვიგდეს... მაგრამ ჭკუით ბრმა თუ ვერ დაინახავს, რომ ეს საანბანო ლიბერალური მოძღვრება აქ მოყვანილია მარტო თვალების ასახვევად და სალიტერატურო ხრიკის შემწეობით ბურთის გასატანად...

* * *

მაგრამ აღსანიშნავი კიდეც ისაა, რომ აწინდელი კამათი საეროვნო ნიადაგზედ არის აღმოცენილი. ამიტომაც ამ კამათს ასეთის სიფაციცით და გულის ძგერით შეჰყურებს მთელი საზოგადოება, მთელი ქართველი ინტელიგენცია. სომხობაც სწორედ ასე იქცევა. სომხობის ინტელიგენციაც ჰხედავს, რომ საარჩევნო მოედანი საეროვნო ასპარეზად გარდაიქცა და ამიტომ ასე თავ-განწირვით იბრძვის. აქ რომ მარტო ბურჟუაზია ექიშპებოდეს ფეოდალობას, მაშინ, „ახალგაზდა სომეხთა დასიც“ სხვაფრივ მოიქცეოდა და უფრო სამართლიანად მოეკიდებოდა, როგორც ქართველობას, ისე სხვა ეროვნობას, აი თუნდა თათრობას, რომელსაც მხოლოდ ორი ხმოსანი არგუნა წილად მთელს ქალაქ ტფილისში!.. საქმეც ისაა, რომ წოდებრივს ბრძოლას ჩვენში ღელვა და შფოთი არასოდეს არ აღუძრავს და ასეთი ბრძოლა არც არასოდეს ყოფილა. კაპიტალიზმი, ჩარჩობისა და მევახშეობის სახით, წინადაც არსებობდა, მაგრამ მარტო ჩვენს კომიკებს თუ მიუქცევიათ მისთვის ყურადღება და სხვას არავის. არც ეს კაპიტალიზმია მიზეზი თავად-აზნაურობის გაღარიბებისა. გაღარიბებას ძირი უფრო სხვაგან უძევს და ქართველ თავად-აზნაურობას არავითარიმე მტრობა არა აქვს სომხურ ბურჟუაზიისა. ასეთი მტრობა განძრახ მოგონილი ამბავია და ასეთი მოგონილობა კიდევ იმას ამტკიცებს, რომ არც ერთს ხერხსა და ქამანდს არ უფრთხიან, ოღონდ-კი ქართველ საზოგადოებას აწინდელი საეროვნო საჭირ-ბოროტო საგანზედ გული აუცრუონ და გზა-კვალი დაუბნიონ. თორემ აბა დააკვირდით, შიგა და შიგ რასა სწერენ და ჰღაღადებენ სომხურ-რუსულ გაზეთების მეცნიერნი.

ამას წინად ჩვენმა სახელოვანმა პუბლიცისტმა ნ. ნიკოლაძემ თავისს შესანიშნავს წერილში, რომელიც დაბეჭდილი იყო „Нов Обоз“-ში, აღნიშნა, რომ სომხებმა, წინანდელ საქალაქო არჩევანების დროს, შელახეს ქართველების უფლებაო... მოყვანილი იყო, თუ როგორ გაშალეს და ააფრიალეს განცალკევების მწვანე დროშა. მერე რა უპასუხა „ჩვენებიანთ“ მწერლობამ?—არსებითად ვერაფერი პასუხი მისცა და მხოლოდ ხელზედ ის დაიხვია, რომ ტფილისის საბჭო უწმინდურების სადენ არხების სისუფთავისთვის ჰზრუნავს და განა ეს ისეთი სამღთო უფლებაა, რომლის შელახვას ასე თავ-გამოდებით სჩივიან ქართველებიო. ახლაც ამას გაიძახის ვიღაც „ხმა“, *) რომელიც კრილოვის გოშიის ყეფას უფრო მიაგავს. მაგრამ, თუ მართლა აბჭო უწმინდურების სადენ არხებისათვის ჰზრუნავს და სხვა უფლება არა უპყრია რა, მაშ რად იწუხებენ თავს და სცდილობენ, ბატონობა დაინარჩუნონ საბჭოში?!. საქმეც ისაა, რომ ტფილისის საბჭო საეროვნო დაწესებულებად გარდაქმნეს და სხვებს ლათაიებით ართობენ და ვითომ კიდეც ატყუებენ...

Plebs,

*) ლათინურად Yox.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განსვენება და დაკრძალვა კნეინა ნინო გრიგოლის ასულის დიასამიძისა.

20 აპრილს, ღამის 11 საათზედ, სოფ. დოესში უეცრივ გარდაიცვალა თავ. ნიკოლოზ დიასამიძის მეუღლე კნეინა ნინო გრ. ასული დიასამიძისა. განსვენებული ჩამომავლობით ბებუთაანთ გვარის იყო. კნეინა ნინო ხასიათის სიმტკიცით და სიმშვიდით, კეთილშობილურის გრძნობით სწორედ რომ იშვიათს ადამიანს წარმოადგენდა. ამასთანავე იგი იყო სამაგალითო დიასახლისი, მეირფასი მეუღლე და დაუფასებელი დედა. თავისს ძმებთან ერთად იგი თან აწოვებდა შვილებს ქართველის ღრმა სიყვარულსა და მისს სამსახურს.

23 აპრილს, პანაშვიდის გარდახდის შემდეგ, ცხედარი დოესიდგან გრაკალის სადგურზედ მიასვენეს. ცხედარს დიდძალი ხალხი მიჰყვებოდა, თავად-აზნაურობა და გლეხობა. საღამოს 5 საათზედ ცხედარი საგანგებო მატარებლით გორს წაასვენეს. გორის სადგურთან თავ-მოყრილნი იყვნენ სამღვდელოება, ხელოსანთა წარმომადგენელნი თავიანთის ჯამქრებით და აუარებელი ხალხი. ცხედარი სომეხ-გრიგორიანთა ტაძარში მიასვენეს, სადაც სომხის სამღვდელოებამ პანაშვიდი გარდაიხადა. 24 აპრილს მიცვალებულის პატივსაცემად ტფილისიდგან და სხვა-და-სხვა ადგილიდგან დიდ-ძალი ხალხი მოვიდა გორს. მობრძანდა ჩვენი პოეტიც აკაკი, რომელმაც, წირვის შემდეგ, შემდეგი დიდის მწუხარებით აღსავსე სიტყვა წარმოსთქვა.

„გული ამევსო ნაღვლით!.. ენა დაბმულია!.. სიტყვას ვეღარ ვახერხებ და ან-კი რა უნდა გსთქვა, ჩემო დედასავით ტკბილო და დასავით მეირფასო არსებავ? ჩემ ხანმოკლე სიცოცხლეში კი არა, საუკუნოებიც რომ შესაძლებელი იყოს გამლო, მაშინაც ვერ გაგიმეტებ, რომ მკვდრად წარმოგიდგინო და შენი სათნო სახე ყოველთვის ცხადად მექნება გათვალისწინებული!... დღეიდგან ჩვენში მე ასეთ შესანიშნავ დედას, სამაგალითო მეუღლეს და ღირსეულს ქართველს ქალს ვერსად შევხვდები, რომ მათში შენ არ წარმომიდგე განხორციელებულად. ყველასათვის თავ-გადაუვალია და აუცილებელი სიკვდილის ჭერი, დღეს შენზედ მოდგა და უნდა ჩაგასვენოთ ცივ მიწაში, მაგრამ ნამდვილი სამარე-კი ჩვენი მხურვალე გულია!... აქ გვეყოლები დამარხული და ერთად იმ გულთან ჩავატანთ საფლავში. სიკვდილი ყველასათვის თანასწორი არ არის... ზოგი კვდება სამარადისოდ და ზოგნი-კი მხოლოდ მიიცვლებიან ხოლმე, ე. ი. ხორციელად გვშორდებიან და სულიერად-კი აქვე ჩვენთან რჩებიან, რომ მოგვაგონონ თავი და თავისის ცხოვრების მიმბაძველი გაგვხადონ ქვეყნის საკეთილდღეოდ. შენც ერთი ამგვარ რჩეულთაგანი იყავი, მეირფასო გვამო, და იმიტომაც ასე გვაშწარებს შენი უდროოდ დაკარგვა. სიკვდილი, მართალია, „განსვენებაა“, ბრძანებს საღმრთო წერილი და შენც, მართალო სულო, ამ ქვეყნიურის ვალის ქრისტიანულად მომხდელო, ნაღვლიანო და მაშვრალო განგისვენოს უფალმა იქ, სადაც ჩვენი დიდებული ქართველი დედები განისვენებენ... და აწ ჩემგანაც ნიშნად სამარადისო ხსოვნისა და კავშირის განუწყვეტლობისა მიიღე უკანასკნელი ამბორი.... მშვიდობით!..“*)

ეკკლესიიდგან ცხედარი გორის სადგურში წაასვენეს, სადაც ცხედრის წასასვენებლად ვაგონი იყო დამზადებული. სადგურამდე ცხედარი აუარებელმა ხალხმა მიაცილა; დუქნების დარაბები დახურული იყო. გორის სადგურში თავ. ივ. გ.-მე მაჩაბელმა სიტყვა წარმოსთქვა.

გომის სადგურში მიცვალებულს სამღვდელოება, თავად-აზნაურობა და დიდძალი გლეხკაცობა დაუხვდა. მიცვალებული გომიდგან ბრილამდე ხელით წაასვენეს. გზაში, სოფელ სოფელ, მიცვალებულს დიდძალი ხალხი ეგებებოდა ანთებულის სანთლებით ხელში. 25 აპრილს მიცვალებულს წესი აუგეს, უკანასკნელად გამოეთხოვა აუარებელი დამსწრე საზოგადოება და მიწას მიაბარეს.

*) ბ-ნ აკაკის გარდა განსვენე-ბულ დიაღ დიდად პატივცემულ კნეინა დიასამიძის გვამის დაკრძალვაზედ ბევრსაც სხვას წარმოუთქვამს სიტყვა, სახელდობრ თავ. ზაქარია ჯავახიშვილს დოესში, სომეხთა მღვდელს არსენ ბაგრატუნის გორის ტაძარში, თავ. ი. გ. მაჩაბელსა და თავადის ქალს ანასტასია ერისთავისას გორში და საქაშეთის მღვდელს რომანოზ ფერაძეს გომის სადგურში, მაგრამ ამ სიტყვებს ადგილის უქონლობისა გამო რედაქცია ვერა ჰბეჭდავს, მით უმეტეს, რომ ყველა ეს სიტყვა თითქმის ერთისა და იმავე შინაარსისაა.

## ბაქვრით

გუშინ „ივერიაში“ დაბეჭდილი იყო საყურადღებო, მეტად საკვირველი ამბები, ამოკრებილი ქალაქის ამომრჩეველთა სიიდგან; როგორც გუშინაც მოვახსენეთ მკითხველებს, ამომრჩეველთა სია ქალაქის გამგეობამ მითამ „შესწორა“ და ისე დაჰბეჭდა ხელმეორედ. იქნება გეგონოთ, რომ იმის მეტი „შეცდომა“ აღარ იყოს სიაში? ნურას უკაცრავად. აი კიდევ, მიგვირთმევია ეს მარგალიტები კულტუროსანთა გამგეობისათვის, წაიკითხოს და დასტკბეს:

№ 219 ასრიევი არუთინ ასრიევის ძე.

№ 2501 ასრიევი არუთინ ბერიევის ძე. როგორა გგონიათ, მკითხველო, აქ ორს ასრიევს ერთი და იგივე სახელი არუთინა ჰრქმევია, თუ მარტო ერთი ასრიევია და მხოლოდ იმის მამასა ჰრქმევია ორი სახელი—ასრია და ბერია?

№ 30 ავეტისოვი არტემ ოაქიმას ძე.

№ 2463 ავეტისოვი აზარაპეტ იაკობის ძე. ესეც კარგია! ნეტავი მეც სომეხი ვიყო! რამდენ კენჭს მომცემდნენ! ერთს ალაგას ჩამწერდნენ: ავეტისოვი არტემ ოვაქიმას ძე, მეორეთ—ავეტისოვი არტემ იაკობის ძე, მესამეთ—ავეტისოვი აზარაპეტ ოვაქიმას ძე, მე ოთხეთ—ავეტისოვის გვარს ასე გადავაკეთებ: ავეტისიან და გვერდზედ ხან არტემას მოვაწერ, ხან ჰაირაპეტს, მამის სახელსაც ხან ოვაქიმას დავწერ და ხან იაკობს; რა მენაღვლება? მამა-ჩემს ხომ არ ეწყინება, ორი სახელი რად დამარქვესო. ამ გვარად ერთს ავეტისოვს რვა კენჭი ექმნება.

№ 100 ამინტოევი ომარ ამინტ ჰაჯი ოღლი.

№ 2,485 ამინტოვი ჰაჯი.

როგორა გგონიათ, ეს „უოღლო“ და „ოღლიანი“ ამინტოევი ერთი და იგივე კაცია, თუ სხვა-და-სხვა? რა თქმა უნდა ერთი და იგივე არის. მაშ ერთ ადგილას რადა სწერია ამინტოევი ომარ ამინტ ჰაჯი და მეორე ადგილას-კი ამინტოევი ჰაჯი? იმიტომ რომ სიის შემდგენელს თითონაც კარგადა სცოდნია, ეს ერთისა და იმავე კაცის გვარია ორ ადგილას დაწერილიო და უფიქრია: ერთგან ხომ სრულადა სწერია ამინტოევის გვარი და მეორე ადგილას რადა საჭიროა სრულად დაწერა, მოდი შევამოკლებ, ამინტოევი ხომ არ გამიწყრება, ორჯერ რად ჩამწერეთო.

№ 1,239 მუჩაიძე იაგორ არტემას ძე.

№ 2,684 მუჩანიძე იაგორ არტემას ძე.

იქნება გაიკვირვოთ, რომ, როგორ ჰღირებია ქართველს, რომ ერთი კაცი ორად ჩაუწერიათ? მაგრამ, ნურას უკაცრავად, არც ეგრე გულუხვები არიან. იაგორ არტემიჩ მუჩაიძე და იაგორ არტემიჩ მუჩანიძე, მართალია ორივე ერთი და იგივეა, მაგრამ, გვარმა არ მოგატყუოთ, ეს ერთი ადამიანი ორად გამოცხადებული სომეხია და არა ქართველი.

№ 1409 ფითოევი ისაი იაგორის ძე.

№ 2715 ფითოევი ისაი იაგორის ძე.

აქ კიდევ ერთი კლანჯ გამოსადეგი მიზეზია და იქნება იმით იმართლონ თავი. ჩვენც მივუტევოთ. ხოლო ამაზედ რაღას იტყვიან: აქ კი შეცდომა გახლავთ მეტი არაფერი.

№ 1253 ნაზარბეგოვი მიხეილ ნაზარას ძე.

№ 2687 ნაზარბეგოვი მიხეილ ნაზარას ძე.

თუ მაინც და მაინც არ დაიშლით და იტყვით, ამდენი შეცდომა რა უბედურება და ღვთის რისხვააო, ამის პასუხიც ადვილია: რა ვქნათ გვეჩქარებოდაო, დიდი საქმეა, თუ ასი და ორასი შეცდომა იქნება სიაში! ქვეყანა ხომ არ დაიღუპება. არჩევნები ხომ მაინც მოხდება და სხვა რა გადარდებთო.

კულტუროსანთა გაზეთები ამაებზედ ხმას არ იღებენ. ან რად ამაიღებენ? იმათი „კულტურის“ მოძღვრება ეს არის: ჩვენებზედ მარტო კარგი უნდა ვთქვათო, რა სულელები ჩვენა ვართ, რომ ჩვენი ცუდი ჩვენვე ვთქვათო, რაც გინდ მღალადებელი ცუდი იყოს.

Senex

## უცხოეთი

**საბერძნეთ-ოსმალეთის ომი.** არა სანუგეშო ამბები მოვიდა საბერძნეთის მხედრობის შესახებ. გუშინდელმა დეპეშამ, მაგალითად, გვაცნობა, რომ ბერძნებმა ფარსალო დასტოვეს და პოლკოვნიკი სმოლენიცი (იგივე შტაბის უფროსი) ველოსტინოს სტოვებს და თავისის ჯარით ვოლოში მიდისო. კონსტანტინეპოლიდგან მოსული დღევანდელი დეპეშა-კი გვაუწყებს, რომ ფარსალა ბერძნებს თავისის ნებით-კი არ დაუცლიათ, არამედ ოსმალეთის ჯარი დაესხა მათ თავს, გაჰფანტა და უკუ აქციაო. დღევანდელივე დეპეშა გვაცნობებს, რომ ბერძნის ჯარმა ვოლო სრულებით დასცალა და პოლკოვნიკმა სმოლენიცმა თავისის ჯარით ალმირისაკენ დაიხიაო. ამ რიგად, როგორცა სჩანს, საბერძნეთის ჯარი სასტიკად დამარცხდა და ფარსალა, ველოსტინო და ვოლო ოსმალეთის ჯარმა დაიპყრა. ბევრნი იმ აზრისანი იყვნენ, რომ ფარსალა და ველოსტინო ისეთი მიუდგომელი ადგილებია, ისეთს სიმაგრეს წარმოადგენენ, რომ ბერძნები იქ უთუოდ გამაგრდებიან, ოსმალეთის ჯარი იქ ვერას დააკლებს, და კარგი ჭკუაც მოუვიდათ ბერძნებს, რომ ამ ადგილებს შეაფარეს თავიო. მაგრამ ოსმალეთის ძლევა-მოსილ მხედრობის წინააღმდეგ ვერავითარმა ციხე-სიმაგრემ ვერ უშველა საწყალს ბერძნებს და აშკარად დაანახვა, რომ „ძალა აღმართის მხვნელია“.

ამის შემდეგ ამ ომის მოგების იმედი საბერძნეთს დაკარგული უნდა ჰქონდეს და ოსმალეთიც დიდათ არ გაჭირვეულდება—თავი დამანებეთ, კიდევ უნდა განვაგრძო ომი და საბერძნეთი სულ ერთიანად დედამიწასთან გავასწოროვო. ამ ნაირად დადგა ის ხანა, როცა დიდნი სახელმწიფონი საბერძნეთ ოსმალეთის საქმეში უნდა ჩაერივნენ და მათ შორის ზავი ჩამოაგდონ. რაღა თქმა უნდა, დიდნი სახელმწიფონი ამას არ დააგვიანებენ, რასაც რამდენიმედ პარიზიდგან მოსული გუშინდელი დეპეშაც ჰმოწმობს. იგი დეპეშა გვაცნობებს, რომ რუსეთის მთავრობამ დანაშთენ დიდ სახელმწიფოთ აცნობა,—თუ თქვენც დამეთანხმებით და ამასთანავე საბერძნეთი სურვილს განაცხადებს, ვეცდები—ოსმალეთს ზავის ჩამოგდების შესახებ ჩამოვუგდო ლაპარაკიო. დიდნი სახელმწიფონიც რუსეთს ამ საგნის შესახებ დაეთანხმნენო.

- გერმანიის ერთის გაზეთის სიტყვით, გერმანიის იმპერატორის მინდობილობით, გერმანიისავე ელჩი ხონთქრის წინაშე წამდგარა და იმპერატორ ვილჰელმის სახელით მისთვის გულითადად მიულოცნია, რომ ოსმალეთის ჯარმა გაიმარჯვა და იმავე ჯარში წეს-რიგი საუცხოვოდ არის დაცულიო.

— გაზ. „იკდამი“ ამბობს: ოსმალებმა მთელს ევროპას თვალ-საჩინოდ დაუმტკიცეს, რომ ისინი იმის ღირსნი არ არიან, „ბარბაროსები“ და „შეუბრალებელი“ უწოდოსო. ოსმალებმა ტურნაოსში დახოცილ მტერთა გვამი რიგისამებრ მიწას მიაბარეს, მაშინ, როდესაც თითონ ბერძნებმა ბრძოლის დროს დახოცილი თავიანთი ამხანაგები გასძარცვეს და მარტო პერანგისამარა დასტოვესო: ასეთი საქციელი, სხვათა შორის, ჩვენ ხელს გვიწყობდა მტერი სასტიკად დაგვემარცხებინაო. ოსმალეთმა დაამტკიცა, რომ იგი ღირსია ევროპის განათლებულ სახელმწიფოთა შორის ირიცხებოდესო.

## დამკვირდი

(ვერტეიმერი)

არის კეთილი და ბოროტი კაცი: პირველი ჩვენზეა დამოკიდებული, მეორეზე კი ჩვენ თვითონა ვართ დამოკიდებულნი.

***

ჩვენ უფრო ადვილად ვიტანთ გაჭირვებას, ვიდრე მოტყუებას. ჭირვი ჩვენს საკუთრებას ჰკიდებს ხელს, მატყუარა კი—ჩვენს ცუდ-მედიდობას.

***

ყოველი უბედურება შესაძლოა აიტანოს კაცმა, რომ ბედნიერ კაცების მხრით არ იყოს ნუგეშის-ცემა, გულმტკივნეულობა და დაგვიანებული რჩევა.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ერთს ჟურნალში დაბეჭდილია შემდეგი მეტად საყურადღებო ცნობა ორ სახელმწიფოს შესახებ, რომელთა არსებობა უეჭველია მრავალს მკითხველს არც-კი შეუტყვია, თუმცა ერთი ამ სახელმწიფოთაგანი, სახელად St. Rilde (ატლანტიის ოკეანეში, გებრიდის კუნძულების მახლობლად) მთელს სამეფოს წარმოადგენს. ამ სახელმწიფოს სივრცე ნამდვილად არავინ იცის, მაგრამ ეს-კი ცხადია, რომ ორ ოთხ-კუთხ ვერსს მაინც არ აღემატება. ამ სახელმწიფოში დიდ-ძალი ხალხი არა ცხოვრობს და საკვირველი ის არის, რომ არც ერთი ქალაქი არ არის აქა. St. Rilde-ს მცხოვრებნი ყველანი მეთევზეები არიან. თვით დედოფალი ისეთს სახლში სცხოვრობს, რომელიც არაფრით არ განირჩევა სხვა სახლებისაგან. დედოფლად ირჩევენ ხოლმე გასათხოვარ ქალს, რომელიც იმ დრომდე განაგებს სახელმწიფო საქმეს, ვიდრე ქმარს შეირთავს და ეხლა სხვა გასათხოვარ ქალს აირჩევენ. მამა-კაცს ხელმწიფობის უფლება არა აქვს. ასეთია კანონი St. Rilde-ს სახელმწიფოში, რომელიც, რაც თავი ახსოვს, მუდამ თავისუფალი და სხვა სახელმწიფოთაგან სრულიად დამოუკიდებელი ყოფილა.

მეორე სახელმწიფო, სახელად Houst საფრანგეთშია, ქვემო პირინეის დეპარტამენტში. ამ სახელმწიფოში, რომელიც ათასს წელიწადზედ მეტია რაც არსებობს, რესპუბლიკა სუფევს.

სახელმწიფო Noust-ი უფრო პატარაა ზემოხსენებულ სახელმწიფოზედ. მთელს რესპუბლიკაში სულ 120 კაცია, ყველანი ხელოსნები არიან და აბრეშუმისა და მატყლის ქსოვილების ქსოვნითა და გაყიდვითა სცხოვრობენ. ამ პაწია რესპუბლიკას პრეზიდენტი არა ჰყავს, რესპუბლიკის საქმეს განაგებენ საბჭოს წევრნი და ამისათვის არავითარი ჯილდო არ ეძლევათ, რადგანაც Houst-ის სახელმწიფოში არც გარდასახადი რამ არის და არც ბაჟი. წარმოიდგინეთ, ამ სახელმწიფოს თავისი სასაფლაო არა აქვს და მიცვალებულს საფრანგეთის მიწაში ჰმარხავენ. მაგრამ, რადგანაც Houst-ის სახელმწიფოდგან საფრანგეთის მახლობელ სოფლამდე ისეთი ალმაცერი კლდეა, რომ მძიმე რამის გადატანა ყოვლად შეუძლებელია, რესპუბლიკას გაუკეთებია კლდეში ღარი; ამ ღარზედ დაასვენებენ ხოლმე მიცვალებულს კუბოთი, ისე ჩააცურებენ და მერე ასაფლავებენ ცხედარს.

**

ამერიკელი მარტო სასარგებლო მანქანებს არ აკეთებს. გართობაც ძლიერ უყვარს და ეს გართობაც ახირებულია, როგორც ყველაფერი ამერიკაში. აი ერთი ახირებული გასართობი ამერიკელებისა. პისტბურგისა და ლემინსტერის რკინის გზის საზოგადოებას გაუკეთებია უშველებელი ჯავშნიანი გემი, ელექტრონის მანქანით, დაუდგავს რკინის გზის ლიანდაგზედ და ის უტარებია სხვა-და-სხვა ქალაქებში. ხალხს ძლიერ მოსწონებია ჯავშნიანის გემით სეირნობა ხმელეთზედ და ამ გემის პატრონებმა ჯიბეები გაიმსეს. როდესაც ხალხს მოჰბეზრდა ეს გართობა, გემი საზოგადოების ეზოში შეიტანეს და იქ იყო იმ დრომდე, ვიდრე თავის თავად დაიშლებოდა. თურმე, ნუ იტყვით, ეს ჯავშნიანი გემი ქაღალდისა ყოფილა.

## „ხეჩაგოგები“ და „მარგალისკუები“.

(ღია წერილი ბ-ნ გიორგი წერეთლის მიმართ)

ბატონო გიორგი, თქვენი სტატია: „საით მივისწრაფით?“ („კვალი“, № 15 1897 წ.) დაბოლოვებულია შემდეგის ტირადით: „იმის მაგიერათ, რომ სომხებთან მშვიდობიანი თათბირი გავმართოთ, შევთანხმდეთ

ამოსარჩევ კანდიდატებზე, ქალაქის მცხოვრებთა კვალობაზე გავანაწილოთ სომხებისა და ქართველი ხმოსნების რიცხვი, ჩვენ ავყოლივართ ვინღაც გადმოვარდნილ ხეჩაგოგებს და მარგალისსკუებს, რომელთაც საქართველო-სომხეთის ბედ-იღბალზე იმდენათ შესტკივათ გული, რამდენათაც თათრებს ბერძნებზე“-ო. გამოდის, რომ, როგორც სომეხი ხეჩაგოგები არიან გადმოვარდნილნი საქართველოს მიწა-წყალზე, ისე მარგალისსკუები და უკანასკნელებსაც იმდენად შესტკივათ გული საქართველოს ბედ-იღბალზე, რამდენათაც თათრებს ბერძნებზე. მარგალისკუა მეგრული სიტყვაა და ჰნიშნავს მეგრელს *) (მარგალი მეგრელი, სქუა—შვილი) და თუ იმერელი ხანდახან დაცინვით დაუძახებს მეგრელს: შე მარგალისქუაო, მაგიერად უკანასკნელიც სწორეთ ასევე დაცინვით ეუბნება, სიქორთუო, ე. ი. შე ქართველოო. ამ ნაირი მოვლენა თითქმის ყოველს ხალხშია: ველიკოროსსი დასცინის მოლოროსს, მოლოროსსი ველიკოროსს. ჩრდილო საფრანგეთის ფრანგები დასცინიან სამხრეთ საფრანგეთის ფრანგებს, უკანასკნელები პირველებს და სხვა-და-სხვა. ამ გვარ ერთის ხალხის ერთ მხრელისაგან მეორე მხრელის დაცინვაში მაინც და მაინც ცუდი არაფერია და, თუნდაც იყოს, რა-კი ყოველგან ასე ყოფილა, რაღა გვეთქმის...

ხოლო „ხეჩაგოგები“ სულ სხვა რამ არის. „ხეჩაგოგი“ სომხური სიტყვაა და ჰნიშნავს, ქართულად რომ გადმოვთარგნოთ, ჯვარის გამყიდველს. მართალია, ამ სახელით სომხეთის ერთის ნაწილის სომხებს იხსენიებენ, მაგრამ იხსენიებენ იმიტომ, რომ ამ სომხებს ერთი სამარცხვინო და სათაკილო ხელობა, თუ შეიძლება ეს სახელი ვიხმაროთ აქ, აურჩევიათ ფულის შესაძენად. ეს ,,ხელობა‘‘ არის მართლ-მადიდებელ ქრისტიან ქვეყნებში სიარული ბერძენ და სხვა მართლ მადიდებელ მღვდლებისა და ბერების სახით და გაუნათლებელ ხალხისაგან ფულის ტყუება. ყოველ შემოდგომის გასულს, როცა შინ მუშაობას მორჩებიან, მიდიან ესრედ წოდებული ,,ხეჩახოგები‘‘ სხვა-და-სხვა ქვეყნებში, საქართველოში, რუსეთში და სხვაგან, მიაქვთ თან შინ გაკეთებული ჯვრები და ხატები, ჰყიდიან იმას, როგორც წმინდა ადგილებიდან მოტანილებს (ალბად ამიტომაც დაერქვათ „ხეჩაგოგები“) და, ატყუებენ რა ხალხს, აგროვებენ ფულებს ვითომ და ახალი ეკკლესიების ასაშენებლად, ძველების გასამშვენიერებლად და სხვანი. ამ ნაირად სიტყვა „ხეჩაგოგი“ სრულიადაც არ შეედრება „მარგალის ქუას“ და მართლა რომ სამარცხვინო და სათაკილო სახელს წარმოადგენს ყოველის სომხისათვის, თუნდაც არც მას და არც მის მამა-პაპას არასოდეს არ მიემართნოს „ხეჩაგოგობისათვის“.

არ ვიცი, იცოდით, თუ არა ყველა ეს თქვენ, ბატონო გიორგი, როცა „ხეჩაგოგები“ და მეგრელები ერთმანეთს გაუთანასწორეთ. ყოველს შემთხვევაში ვერ მოიქეცით რიგიანად, რადგან, თქვენ რომ ერთ რომელსამე მეგრელზე უკმაყოფილოდ ბრძანდებოდეთ, სხვები რა შუაში არიან. ბევრჯელ მსმენია ამბავი თქვენის უტაქტობისა, მაგრამ თუ იმ ზომამდეც მიაღწევდა იგი, რომ ერთ მშვენიერ დღეს გამოაცხადებდით: მეგრელები საქართველოში ისევე „გადმოვარდნილნი არიან, როგორც სომეხი „ხეჩაგოგები“ და იმდენად შესტკივათ საქართველოს ბედ-იღბალზე გული, „რამდენადაც თათრებს ბერძნებზე“-ო, სწორედ ვერ წარმოვიდგენდი; ვერ წარმოვიდგენდი მით უმეტეს მე, რომელიც „კვალის“ დაარსებიდან თანამშრომლობდი ამ ჟურნალში (მიკვირს, თქვენ როგორღა მაძლევდით „ვინღაც გადმოვარდნილ“-ს ამის ნებას?!) და მეგონა, შეძლებისა დაგვარად, პირ ნათლად ვემსახურებოდი ჩვენ საზოგადო სამშობლოს, საქართველოს!...

დავშთები ერთი წარმომადგენელთაგანი, თქვენ მიერ დღეს ასე საშინლათ განკიცხულისა და, არ ვიცი რა საბუთით, ქართველთაგან სრულიად გამორიცხულის, მეგრელებისა—

დუტუ მეგრელი

P. S. შეიძლება მე ვცდები და თქვენ იმისი თქმა არ გინდოდათ, რაც თქვენის სიტყვებიდგან გამოდის, მაშინ ბრძანეთ, რა გინდოდათ გეთქვათ!... ყოველს შემთხვევაში, ვერ იტყვით, რომ უტაქტოდ და გაუფრთხილებლად არ მოქცეულხართ და ჩემ მოვალეობად დავსახე, მომემართნა ამ წერილით, რომ, თუ შემცდარივარ, მართალი გაგვაგებინოთ.

დ. მ.

*) მარგალი, მარგალისქუა ჰნიშნავს სამეგრელოში აგრეთვე გლეხს, მაგრამ უკანასკნელს აქ ამოწერილს ტირადაში ადგილი არა აქვს. ავტ.

## გასართობი

ამ წლის პირველ აპრილს იტალიის ქალაქ გუნუაში ვიღაც ხუმარებმა მთელი ქალაქი გააცრუეს თურმე და მოაღორეს. მარტის თვეში ამ ქალაქის საბჭომ გამოაცხადა: რადგან რამდენიმე შემთხვევა იყო, რომ ხალხს თუთიყუშისაგან ჭლექი გადაედოთ, უფრთხილდით ამ სენსაო, და იქვე იყო აღნიშნული ნიშნები თუთიყუშთა სიჭლექისა. პირველ აპრილს ვიღასგანაც ამ განცხადების ნაცვლად სხვა განცხადება იყო გაკრული, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ სასანიტარო კანონთა მე-319 მუხ. ძალით ვისაც სახლში თუთიყუში ჰყავს, ვალდებულია იმავე დღეს ქალაქის საბჭოს წარუდგინოს, რათა იქ შეამოწმონ, სნეულება ხომ არა აქვთ-რაო, და ვინც ამ კანონს არ შეასრულებს, იმას ჯარიმად გარდახდება ორი მანეთიო.

რასაკვირველია, ფიქრადაც არავის მოუვიდა, რომ ეს ხუმრობა იყო, არც მეტი და არც ნაკლები. ქუჩებში გამოჩნდნენ გროვა-გროვად ხალხნი, ბატონნი და მოსამსახურენი, რომელთაც თუთიყუში მოჰყავდათ საბჭოში. პირველში ქალაქის საბჭო დიდად გაოცდა ამ თუთიყუშთა სიმრავლით, მაგრამ, ბოლოს, მოისაზრა თურმე, რომ უხუმრია ვიღასაცაო, და ამიტომ სიცილად აღარა ჰყოფნიდათ, როდესაც ახალი შევიდოდა ვინმე თუთიყუშით ხელში. თუთიყუშის პატრონები მაინც თავისას არ იშლიდნენ და არა სჯეროდათ, რომ ეს ხუმრობააო. ერთი თუთიყუშის ვაჭარი, რომელსაც თან სამოცდა ათი თუთიყუში მიეყვანა, გაწყრა კიდეც როდესაც უთხრეს ხუმრობააო. ,,კარგად ვიცი ვისი ხრიკებიც არის, მაგრამ თუთიყუშის სხვა ვაჭრები ჩემთან ვერას გახდებიან, შეამოწმეთ ჩემი თუთიყუშები, მე ჯარიმის გადახდა სულაც არ მინდაო.‘‘

საბჭოს წევრნი პირველში იცინოდნენ, მაგრამ თუთიყუშები-კი იმდენი მიჰყავდათ პატრონებს, რომ მობეზრდნენ და იძულებულნი იყვნენ, კვლავ გამოეცხადებინათ საქალაქოდ და განემარტათ ამ ხუმრობის ამბავი.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

25 აპრილი

**პარიჟი.** ამბავი მოვიდა, რომ ჰერცოგი ომალისა, რომელიც ცუკკოში იყო, სიცილიაში, გაიგო რა ალანსონის ჰერცოგის მეუღლის დაღუპვის ამბავი,—უეცრად გარდაიცვალაო.

**რომი.** გარეშე საქმეთა მინისტრის თანაშემწე ამტკიცებს, რომ მართალია, ბოტეგოს ექსპედიცია დაუხოცნიათო.

**კონსტანტინეპოლი.** ეთჰემ-ფაშასაგან მიღებულ და გამოცხადებულ დეპეშაში სწერია: „ფარსალთან გუშინ მომხდარ სასტიკსა და ხანგრძლივის ბრძოლისა გამო, მტერმა, დარწმუნდა რა, რომ გამაგრება შეუძლებელია, ღამე ზოგიერთი ადგილები მიატოვა. ხუთშაბათს, გათენებისას ოსმალები ქალაქზე იერიშით მივიდნენ. მტერი უკუიქცა და გაიფანტა. ოსმალეთის ჯარი ფარსალში შევიდა. სამხედრო რაზმი მტერსა სდევნის დომოკოსაკენ. ჯერ ისევ ღამე ჰაირ-ფაშას ჯარს ბრძანება მოუვიდა იმავე გზისაკენ თვალი გეჭიროსო. ბერძნები უკან იწევენ და გზაში ჰყრიან ტყვია-წამალსა და სურსათს“.

**ათინა.** ვოლო თითქმის სულ დაიცალა. სმოლნიცმა ალმიროსაკენ დაიწია სრულის წეს-რიგით.

**კანეა.** ვასოსმა ნება-რთვა ითხოვა, ქალაქში შემიშვით შეიარაღებულის რაზმით, რათა საბერძნეთში წავიდეო. ვასოსს უარი უთხრეს ამაზედ.

ადმირალებმა აჯანყებულებს ნება მისცეს მხოლოდ ქალაქთან მისვლისა, რომ სურსათი ეყიდნათ. ვასოსის თხოვნა იმიტომ არ შეიწყნარეს, შეიძლება უწესოება რამ მოხდესო.

26 აპრილი

**როსტოვი.** დონი ძლიერ ადიდდა. ერთი უბედურება მოხდა: დიდი ნავი, რომელიც ორთავე სქესის მუშებით იყო სავსე, გადაბრუნდა; 12 კაცი დაიღუპა.

**პარიჟი.** საქველმოქმედო ბაზარზედ მომხდარ უბედურების დროს რუსეთის ახალშენის არც ერთი წევრი არ დაღუპულა. ოფიციალურ ცნობებით დაღუპულთა რიცხვი 146-მდე ადის.

**კონსტანტინეპოლი.** ველესტინოსთან მომხდარ ბრძოლის დროს ოსმალთა შორის 600 კაცი დაიხოცა. ფარსალთან ბრძოლის დროს ოსმალთა ზარალი მეტად მცირე აქ ყოფილა.

**ათინა.** ალმირიდგან მოხსენება მიუღიათ, რომ სმოლენცის რაზმი მოვიდაო.

**ფარსალი.** ბრძოლა დაიწყო იმის გამო, რომ სადარაჯოებთან შეტაკება მოხდა. ოსმალეთის მთავარ სარდალი მხოლოდ საბრძოლველად ემზადებოდა 24 აპრილისათვის. საბერძნეთის ჯარი, რომელმაც ქალაქის ჩრდილოეთის მხარეს მაღლობი დაიჭირა, ისე ვერ გაუმაგრდა მტერს, როგორც მოელოდნენ. ბერძნებმა საჩქაროდ დაიწიეს ბარისაკენ, რომელიც ქალაქსა და მაღლობის შუა მდებარეობს და ქალაქსა მიაშურეს. ამ დროს ოსმალთა არტილერიამ ბერძნებს ზარბაზნები დაუშინა და დიდად დააზიანა. უფრო დიდი ზარალი ბერძნებს იმ დროს მოუვიდათ, როდესაც ხიდზედ გადიოდნენ.

პეტერბურგის ბირჟა, 25 აპრილი

| | მყიდველისა. მან. კ. | გამყიდველისა. მან. კ. | გაყიდულისა. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ მანეთიანი ოქრო . . . . . | — „ | — „ | 750 |
| 5%.-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | 210½ |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | — „ | — „ | 101⅛ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკისა . | 101 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 99⅜ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . | 101 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | — „ | — „ | 99⅝ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | 98¾ | — „ | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — | 283 |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — | 245 |

სახმოსნო კანდიდატთა ნუსხა, შედგენილი ესრედ წოდებულ ,,სასახლის ნომრების‘‘ დასის მიერ:

აკალიშვილი თავ. დავით ივანეს ძე.
ავთანდილოვი მიხეილ ზაქარიას ძე.
აკოფოვი იაკობ მარტინის ძე.
ალიხანოვი ივანე სერგის ძე.
ალიხანოვი კონსტანტინე მიხეილის ძე.
ანანოვი სტეფანე იოსების ძე.
ანდრონიკაშვილი თავ. ნიკ. დავითის ძე.
არღუთინსკი-დოლგორუკოვი თავ. ალექსანდრე მიხეილის ძე.
არღუთინსკი-დოლგორუკოვი თავ. ნიკოლოზ ვასილის ძე.
არღუთინსკი-დოლგორუკოვი თავ. ნიკოლოზ იაგორის ძე.
არღუთინსკი-დოლგორუკოვი თავ. პავლე მიხეილის ძე.
ბაგრატიონ-მუხრანსკი თავ. ალექსანდრე ირაკლის ძე.
ბაქრაძე ალექსანდრე ივანეს ძე.
ბარხუდაროვი არშაკ პატკანის ძე.
ბებუთოვი თავ. არსენ ივანეს ძე.
ბილფელდი ლეოპოლდ პეტრეს ძე.
ბუდაგოვი ისააკ სოლომონის ძე.
ბურგარტი ემმანუილ თევდორეს ძე.
ბუტკევიჩი კონსტანტინე ცეზარის ძე.
ვართანოვი არტემ ივანეს ძე.
ვერმიშევი ქრისტეფორე ამბაკუმის ძე.
ვეტცელი ფრიდრის გასპარის ძე.
გლაკაცკი პლატონ ანტონის ძე.
გრუზინსკი უგან. თავ. პეტრე ალექსანდრეს ძე.
ჯანშიევი ალექსანდრე ავეტის ძე.
დოლუხანოვი მარკოზ ისაიას ძე.
ევანგულოვი გიორგი გრიგოლის ძე.
ივანენკო აპოლლონ ათანასეს ძე.
იოანნესიანი აზგარ არტემის ძე.
ქალანთარი ალექსანდრე ჴაირაპეტის ძე.
კარაპეტოვი ნიკიტა ივანეს ძე.
ქეთხუდოვი დავით სოლომონის ძე.
კოლუბანსკი გიორგი მიხეილის ძე.
ყორღანოვი ვასილი დავითის ძე.
ყორღანოვი დავით ზურაბის ძე.
ყორღანოვი ივანე სოლომონის ძე.
ლუნკევიჩი მიხეილ ვიქტორის ძე.
მალინინი იაკობ ივანეს ძე.
მაჩაბელი მიხეილ ვასტანგის ძე.
მდებროვი ლევან იაკობის ძე.
მელიქიშვილი თავ. დავით ზაქარიას ძე.
მელიქოვი ივანე გრიგოლის ძე.
მიქელაძე თავ. ვლადიმირ სვიმონის ძე.
მირზოევი მინა ივანეს ძე.
ოდნოსუმოვი ალექსანდრე იოსების ძე.
ოპოჩინინი პეტრე ალექსის ძე.
ორბელიანი თავ. ივანე მაკარის ძე.
ოსტროგორსკი ნიკ. ნიკოლოზის ძე.
ოტტენი ფერდინანდ კარლის ძე.
პოტტო ვასილი ალექსანდრეს ძე.
ფრიდონოვი ალექსანდრე თომას ძე.
ფრიდონოვი ნ. სპირიდონის ძე.
რეიტერი კონსტან. ნიკოლოზის ძე.
სარაჯაშვილი დავით ზაქარიას ძე.
სლივიცკი სვიმონ ალექსის ძე.
სიმონოვიჩი გიორგი სპირიდონის ძე.
თაიროვი ივანე ალექსანდრეს ძე.
თამამშევი მიხეილ ივანეს ძე.
თათუზოვი გასპარ იაგორის ძე.
ტერ-ასატუროვი გიორგი ბუდაღის ძე.
თულაშვილი ივანე გაბრიელის ძე.
თუმანოვი თავ. გ. მიხეილის ძე.
უთნელიშვილი ივანე დავითის ძე.
ფლორენსკი ალექსანდრე ივანეს ძე.
ხოსროევი მკრტიჩი იაგორის ძე.
წერეთელი გიორგი ექვთიმეს ძე.
წოვიანოვი ივანე ისააკის ძე.
წურინოვი არტემ სტეფანეს ძე.
ჭავჭავაძე თ. ილია გრიგოლის ძე.
ჩოლოყაშვილი თ. ალექ. ზაალის ძე.
შადინოვი ივანე ალექსის ძე.
შახ-აზიზოვ-კაამარაკანი ალ. იოაკიმეს ძე.
შახპარონიანცი მიხეილ სერგის ძე.
შერმენკო ივანე ალექსის ძე.
შიმკევიჩი ალექსის პოლიკარპის ძე.
ენფიანჯიანცი ტიგრან ამბარცუმის ძე.
ერისთავი თავ. ზაქარია გიორგის ძე.
ერისთავი თავ. ნიკოლოზ რევაზის ძე.
იაკიმოვი პავლე მიხეილის ძე.
იარალოვი გრიგოლ ზაქარიას ძე.

## „ივერიის“ ფოსტა.

**ი. ჩ—შვილს.** თქვენი ლექსი „გლეხის ჩივილი და ვედრება“ არ დაიბეჭდება.

**სოფ. ვ—ხე. ნ. თ—შვილს.** თქვენი „არა ნაწყვეტებთაგან“ არ დაიბეჭდება.

**ვანი ია—ძეს.** თქვენი ლექსი ,,გორი ჯვარს‘‘ არ დაიბეჭდება.

**ი. გ—ძეს.** „მეჩანგურეს სიმღერა“ არ დაიბეჭდება.

**ს. მ—თი. ფანდს:** თქვენი ლექსი ,,მაისობა‘‘ არ დაიბეჭდება.

**ქ. ს—ლი. შ—შვილს.** თქვენი წერილები შეუმოკლებლივ იმიტომ არ იბეჭდება, რომ თქვენ საზოგადოდ ლაპარაკს უფრო მეტს ადგილს უთმობთ, ვიდრე ამა თუ იმ ცნობას, ამა თუ იმ ამბავს.

**დ. ახ. ს—კს. ტ. კ—შვილს.** თქვენ მცირე შენიშვნას ველარა ვბეჭდავთ. ბ-ნ გ. წ—ლის ურიგო საქციელის გამო, მარტო თქვენ-კი არა, მთელი სამეგრელოა გულნაწყენი და იმდენი წერილი მოგვდის, რომ ყველას დაბეჭდვა შეუძლებელია. მაგდენის ქაღალდის ფასადაც არა ჰღირს ეგ საქციელი, რომლის უკუღმართობა უკვე ჯეროვანად აღვნიშნეთ.

Дозволено цензурою, Тифлисъ 26 го Апрѣля 1897 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.